საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№4 (6796) 18 თებერვალი ოთხშაბათი 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ «ლეჩხუმი»

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლეჩხუმზე“ 1998 წლის პირველი ნახევრისთვის. გაზეთზე ხელმოწერის ფასია 4 ლარი. ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ „ლეჩხუმის“ რედაქციაში (ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9 საათიდან 18 საათამდე) ან შესაბამის სოფლის საფოსტო განყოფილებაში.

იჩქარეთ, ხელმოწერა შეზღუდულია.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

საქართველოს ვერ მოკლავენ!

ტერაქტი, რეზონანსი!

მიტინგი ცაგერში

9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა. დაახლოებით 23 საათსა და 15 წუთზე, იმ დროს, როდისაც პრეზიდენტი სახელმწიფო კანცელარიიდან კრწანისის რეზიდენციისაკენ მიემგზავრებოდა, შეიარაღებულ თავდამსხმელთა დიდმა ჯგუფმა ეამიზნებით ინტენსიური ერთდროული ცეცხლი გაუხსნა საქართველოს პრეზიდენტის პირად და მის თანმხლებ ყველა ავტომანქანას. ტერორისტებმა გამოიყენეს ავტომატური იარაღი, ნაღმტყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები. რამდენიმე ნაღმი მოხვდა სახელმწიფოს მეთაურის დაჯავშნულ „მერსედესს“. დაცხრილულია კორტეჟის ყველა ავტომანქანა.

პრეზიდენტის პირადმა დაცვამ და სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს ტერორისტებს და სიცოცხლის ფასად შეძლეს ედუარდ შევარდნაძის უვნებლად გაყვანა თავდასხმის ადგილიდან. შეტაკების დროს დაღუპნენ პირადი დაცვის ოფიცერი კახა შევარდნიძე და სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლი დავით კოკაური. დაჭრილია დაცვის ოთხი თანამშრომელი.

ორმხრივი სროლის დროს მოკლულია ერთ-ერთი ტერორისტი, რომელსაც რუსეთის მოქალაქის სახელზე გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა.

განგებამ გადაარჩინა პრეზიდენტი და საქართველოც.

მსოფლიო შეძრა ამ ეამზრზენმა თაქტმა, მასობრივი ინფორმაციების სამსახურები. საზოგადოებრიობა გამოეხმაურნენ 9 თებერვლის ტერაქტს.

ბევრის აზრით, ეს არ იყო უბრალო ტერორისტული აქტი. ეს იყო კარგად ორგანიზებული ოპერაცია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული, რომელიც მიზნად ისახავდა ქაოსისა და დესტაბილიზაციის შექმნას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში.

10 თებერვალს რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა ცაგერის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საპროტესტო მიტინგი. მიტინგი გახსნა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა **მელსი ყურაშვილმა**. მან გამოთქვა უდიდესი აღშფოთება მომხდარის გამო, უდიდესი მწუხარება პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელთა დაღუპვის გამო და აღნიშნა, რომ ეს მოქმედება მიმართულია არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატია, მშვიდობა, სტაბილურობა, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, ჩვენი ერთობა და სიფხიზლე.

მიტინგზე გამოვიდნენ განათლების განყოფილების გამგე **გურამ ხმელიძე**, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **სარდიონ ფუტკარაძე**, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი კვირიკაშვილი**, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ომარ ჭაბუკიანი**, კულტურის განყოფილების გამგე **დათო სანთელაძე**, მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით სვანიძე**, რაიონის გამგეობის ეკონომიკის განყოფილების გამგე **ნუნუ ახვლედიანი** და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ე. შევარდნაძეს.

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო ედუარდ!

ჩვენ, ცაგერის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიტინგის მონაწილენი სულით ხორცამდე შეგვძრა შემაძრწუნებელმა ცნობამ თქვენს მიმართ განხორციელებული მეორე ტერორისტული აქტის შესახებ, რომელიც ჩაიდინა საქართველოსა და ქართველი ხალხის დაუძინებელმა მტერმა, უფალმა ინება თქვენი გადარჩენა, ამით გადარჩა აღმშენებლობის გზაზე შემდგარი საქართველო, ჩვენი ხალხის მომავალი.

ლეჩხუმში იმართება საპროტესტო მიტინგები, სადაც მშრომელები გმობენ ამ აქტს.

გვწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველო გაბრწყინდება და საკადრისი პასუხი გაეცემა ამ ტერორისტული აქტის ჩამდენთ.

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

მიტინგის მონაწილენი.

ქ. ცაგერი, 10 თებერვალი.

9 თებერვალი—სამარცხვინო დღე

9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე მოწყობილმა ტერორისტულმა აქტმა სულით ხორცამდე შესძრა თითოეული ჩვენგანი. უკვე მეორედ მოხდა პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფა. ჯერ კიდევ გასამართლებული არ არიან ისინი, ვინაც ამ სამი წლის წინ, 29 ავგისტოს ტერორისტული აქტი განახორციელეს და ახალი, კარგად ორგანიზებული ტერორისტული აქტის მოწმენი გავხდით. ოპერაცია განხორციელდა იდეალურად შეიარაღნაძის გასანადგურებლად.

ღმერთმა დაიფარა და პრეზიდენტი გადარჩა, მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ ტრაგედია მაინც დატრიალდა. ოთხი დაიჭრა და ორი ახალგაზრდა კაცი, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს პრეზიდენტი, მარადისობაში გადასახლდა.

რა ცუდია, რომ ადამიანებს ასე ადვილად შეუძლიათ ერთმანეთის გამეტება. ადვილი წარმოსადგენია თუ რა მოხდებოდა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის შემდეგ. ძლივს დავალწიეთ თავი არეულობას.

ქაოსს და ისევ განუკითხაობისა და დაუმორჩილებლობის მსხვერპლი გახდებოდა ქვეყანა.

ახლა ჩვენი ვალია ვიყოთ ფხიზლად, ვუერთგულოთ ერთმანეთს, გავუფრთხილდეთ საქართველოს და მის პრეზიდენტს, თუ გვინდა, რომ სწორ გზას არ ავცდეთ, იმ კურსს არ გადავუხვიოთ, რასაც ქვეყანა ადგას.

სარდიონ ფუტკარაძე,

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ბოლოსდაბოლოს უნდა დაგვაფიქროს

9 თებერვალი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც შემაზრზენი დღე. ამ დროს განხორციელდა ტერიტორიული აქტი საქართველოს პრეზიდენტზე. რაც დრო გადის, თითოეული ჩვენგანი უფრო და უფრო ვაცნობიერებთ, რომ თავდასხმის ავტორები პროფესიონალები არიან. კარგად ორგანიზებული აქტის დასრულების შემთხვევაში პრეზიდენტის ლიკვიდაციით ქვეყნის გარეშე და შინაურ მტრებს სურდათ დესტაბილიზაცია ქვეყანაში. უფრო მეტიც გადატრიალება. მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა ქვეყნის ხელმძღვანელი და გადარჩა საქართველო.

ამ ფაქტმა ალბათ ერთხელ კიდევ უნდა დაგვაფიქროს, ბოლოსდაბოლოს უნდა გვასწავლოს, რომ ერთად ვიყოთ, შევაჯეროთ ჩვენი პოლიტიკური პოზიციები და სურვილები მხოლოდ საქართველოსთვის, მისი მომავლისათვის. მტერს აწყობს ისევ ქაოსი, არეულობა და სისხლისღვრა საქართველოში, ნუ დავასხამთ მის წისქვილზე წყალს.

მინდა ჩემი გულისტკივილი გამოვხატო: თბილისში, მის ცენტრში განხორციელდა თავდასხმა, როცა არსებობს პრეზიდენტის, მთავრობის დაცვის უზარმაზარი სამსახური. ამ სამსახურებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა. რომ სახელმწიფოში არა მარტო პრეზიდენტის, არამედ თითოეული ადამიანის უსაფრთხოება იქნეს დაცული.

გიორგი კვირიკაშვილი.

რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქცენტი გაუკეთებელზე გადაიტანეს

მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია

12 თებერვალს რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია. დღის წესრიგით:

1 საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ანგარიში გატარებული მუშაობის შესახებ;

2. ს. მ. კ. წესდების პროექტის გაცნობა-განხილვა;

3. ს. მ. კ. მესამე ყრილობის დელეგატების არჩევის შესახებ;

4. ს. მ. კ. მუდმივმოქმედ კომისიათა ნუსხის გაცნობა.

5. ს. მ. კ. რესპუბლიკური ორგანიზაციის სათათბიროში წევრთა არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით სვანიძე.**

კამაფში მონაწილეობდნენ მოქალაქეთა კავშირის ორბელის ორგანიზაციის თავმჯდომარე **ნორა მახარობლიძე**, რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე **ნაირა ბერაძე**, მოქალაქეთა კავშირის წიფერჩის ორგანიზაციის თავმჯდომარე **ლემინო ლიპარტელიანი**, რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი **ამირან კვირიკაშვილი**, ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი **ნოდარ მესხაძე**.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ, რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ **პარლო კვირიკაშვილმა.**

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა კავშირის რაიონულ ორგანიზაცია გამოირჩეოდა სტრუქტურული და ორგანიზაციული განმტკიცებით. ჩატარდა პირველადი ორგანიზაციების მიხედვით ს. მ. კ. წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. და დღეს რაიონში ფუნქციონირებს 20 პირველადი ორგანიზაცია 299 წევრით. ამჟამად ყველა არის მსურველები გახდნენ ს. მ. კ. წევრები, რაც საშუალებას იძლევა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ დაფუძნდეს 10 ორგანიზაცია, რაიონულ ორგანიზაციაში არჩეულია ხელმძღვანელი ორგანოები: მთავარი საბჭო 9 წევრის, სათათბირო 35 წევრის, საარბიტრაჟო კომისია 3 წევრის შემადგენლობით, შექმნილია მუდმივმოქმედი კომისიები.

როგორც ყველასათვის ნათელია, მოქალაქეთა კავშირი დღეს მმართველი პარტიაა, ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს, ამიტომ მის წინაშე დიდი ამოცანები დგას. საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა კავშირმა და მისმა წევრებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს რაიონის ეკონომიკის განმტკიცების, ბიუჯეტის შევსების საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის. სათათბიროსა და საბჭოს სხდომებზე მოსმენილ იქნა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის კარლო კვირიკაშვილის, საფინანსო განყოფილების გამგის ნაირა ბერაძის, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის შერაგ ყვიოლიანის, მიწის პრივატიზაციის განყოფილების გამგის მევლუდ თოდიძის და სხვათა ინფორმაციები გატარებული მუშაობის შესახებ.

გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა რაიონის ბიუჯეტი. ნაცვლად 260.3 ათასი ლარისა, შემოვიდა 293.6 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 112.8 პროცენტით. მიუხედავად, ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებისა, მისი მოცულობა ძალზე მცირეა, ვერ ფარავს რაიონის ხარჯებს. რის გამოც დაუფარავმა კრედიტორულმა დავალიანებამ 1 იანვრისათვის 68.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც სამწუხაროდ, მიმდინარე წლის ბიუჯეტს დააწვება.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირება დამთავრდა. მისი შემოსავლების გეგმა თითქმის გაორმაგებულია და შეადგენს 480.5 ათას ლარს, რაც 220.2 ათასით მეტია წინა წლის გეგმაზე. ბიუჯეტის გეგმის [illegible] მუშაობას. მოითხოვს. საჭიროა გამოინახოს მისი შევსების ახალი წყაროები, რაც ბევრია მშენებლობაში, კერძო ბიზნესში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ხე-ტყის გატანა-დამუშავებაში.

შარშან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა რაიონში, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა რაიონის მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კერძოდ, რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ლეონის ქარხნებმა გამონახეს ინვესტორები და მიიღეს და გადაამუშავეს 1000 ტონამდე ჟორჟინი, რითაც მოსახლეობაში შევიდა 500 ათას ლარამდე შემოსავალ.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის სფეროში მიმდინარე რეფორმებს. აღინიშნა, რომ მართალია სახალხო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა შეუქცევადია, მაგრამ იმ ფორმითა და რაოდენობით განხორციელება მძიმე ტვირთად აწვება რაიონს, რადგან მცირდება სკოლების დიდი რაოდენობა მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირის გამო. ამასთან მეათე-მეთორმეტე კლასებში ფასიანი სწავლების შემოღებამ გარკვეული სიძნელეები შეუქმნა მშობლებს ფინანსების უქონლობის გამო. ამიტომ მოითხოვეს დაეჩქაროს პარლამენტმა მთიანი რეგიონების შესახებ კანონის მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნეს ამ მიმართებით შეღავათები.

აღინიშნა, რომ რაიონის მშრომელებმა გასულ წელს კარგი სეჩექარი მიიღეს დედათა და ბავშვთა სადიაგნოსტიკო ცენტრის შენობის მშენებლობის დამთავრებით, რაშიდაც დიდი წვლილი მიუძღვის პრეზიდენტის რწმუნებულს თედო ისაკაძეს. ჯანმრთელობის მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, რაიონის გამგებელს კარლო კვირიკაშვილს და სამუშაოს შემსრულებელს ცაგერის „მშენკომბლექსის“ (თავმჯდომარე სოსო თვარაძეს) შრომით კოლექტივს.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა, რადგან ფასიანი სამედიცინო მომსახურების გამო ვერ მიდის ავადმყოფი ექიმთან, რის გამოც მატულობს რაიონში სიკვდილიანობა, ამის შედეგია რომ 1996 წელს დაიბადა 161 ბავშვი, გარდაიცვალა 247 ადამიანი, 1997 წელს კი დაიბადა 142 ბავშვი, გარდაიცვალა 261 ადამიანი, მოითხოვეს, რომ დაყენებულ იქნეს საკითხი ჯანმრთელობის სამინისტროს წინაშე, რომ მთიან რეგიონს მეტი შეღავათები მიეცეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დათმო რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბევრი რამ გაკეთდა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. წინა წელთან შედარებით შემცირდა საშიშ დანაშაულობათა რიცხვი. მაგრამ გატარებული მუშაობა საკმარისი არ არის. ჯერ კიდევ აქვს ადგილი წვრილმან ქურდობებს, სუსტია მომხდარ დანაშაულობათა გამოძიება და გახსნის საქმე. პოლიციის ზოგიერთი მუშაკი თვითონ არღვევს კანონს, ხადის დანაშაულს.

კონფერენციაზე, როგორც მომხსენებელმა ისე მოკამათეებმა დაგმეს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი და აღშფოთება გამოთქვეს, რომ ეს ტეროროისტული აქტი განხორციელებულია გარეშე მტრული ძალებისა და იმ შინაური ანტიხალხური ძალების მიერ, რომლებსაც კონსტიტუციური გზით ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ აქვთ.

კონფერენციის მონაწილეებმა მომხდარ აქტთან დაკავშირებით თანაგრძნობის წერილი გაუგზავნეს ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

კონფერენციის მონაწილეებს გაეცნო საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წესდების პროექტი, მუდმივმოქმედ კომისიათა ხუსხა.

ჩატარდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მესამე ყრილობის დელეგატთა არჩევნები ღია კენჭისყრით ყრილობის დელეგატად არჩეულ იქნა 20 წარმომადგენელი. ასევე საქართველოს მოქალაქეთა კავშირის რესპუბლიკური ორგანიზაციის სათათბიროს წევრად რეკომენდაცია მიეცა რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს, მოქალაქეთა კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეს კარლო კვირიკაშვილს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ს. მ. კ. სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე, პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში **დავით შაქარაშვილი.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის რეგიონალური დეპარტამენტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა **ლევან გაკურაძემ** და **გელა ჩიკვაიძემ.**

ტყე: მოარული ხმები და სინამდვილე

ცაგერის სატყეო მეურნეობის განკარგულებაში 47341 ჰექტარი ტყეა, რომელიც 5 სატყეო უბნადაა დაყოფილი. უკანასკნელ წლებში გახშირდა ხე-ტყის გატანა რაიონს გარეთ. ხალხი პანიკას შეუპყრია, უნებართვოდ იჩეხებაო და ერთი დღეც იქნება ჩვენივე ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება ბუნებისადმი, ჩვენვე დაგვატყდება თავს ბუმერანგივით, ჩვენი ულამაზესი ბუნების ,ხელყოფით თვალუწვდენელი, გაუკაცრიელებული ადგილები ღვარცოფად იქცევა.

ამიტომ მოსახლეობას აინტერესებს, რას აკეთებენ სატყეო მეურნეობის მესვეურები, რა კანონზომიერებას ექვემდებარება დღეს ხე-ტყის ჭრა და რაიონიდან გატანა. საერთოდ სატყეო მეურნეობის მუშაკებს რა აქვთ გაკეთებული კონკრეტულად 1997 წელს ტყის ნასივების კვლავწარმოების მიზნით.

ამ მიზნით შევხვდით და ვესაუბრეთ სატყეო მეურნეობის მთავარ ინჟინერს გურამ ჩარკვიანს, რომელმაც თქვა:

გასულ წელს მთელი რიგი ღონისძიებები გავატარეთ ტყის აღდგენის, მოვლა-პატრონობისა და კვლავწარმოების მიზნით. დამზადებული და რეალიზებულია 2618 კუბური მეტრი სამასალე და საშეშე ხე-ტყე. გაშენებულია სანერგე 0,2 ჰექტარზე; ტყის აღდგენითი სამუშაოები (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა) ჩატარებულია 400 ჰექტარზე, შევსებულია ნერგავები 15 ჰექტარზე, სადაც დარგულია 12 ათასი ძირი ნერგი; დამზადებულია ტყის ჯიშთა (აკაცია, ნეკერჩხალი) თესლები; გაყვანილია ხე-ტყის სეზიდი გზა 2 კილომეტრზე. შეკეთდა 6 კილომეტრი გზა. ჩატარებულია ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი.

ხე-ტყის რეალიზაციიდან სულ შემოსულია 38714 ლარი. საიდანაც ბიუჯეტში გადარიცხულია დამატებითი ღირებულების გადასახადი 9331 ლარი, სოცდაზღვევა 6857 ლარი, საშემოსავლო 2899 ლარი. ჯანდაცვის გადასახადისათვის ჩარიცხულია 926 ლარი. მოგების გადასახადი 140 ლარი. სულ ბიუჯეტში გადარიცხულია 18973 ლარი.

მინდა გულახდილად აღვნიშნო, მიუხედავად ჩვენი სიფხიზლისა, ადგილი აქვს უნებართვო ჭრებს, რამაც 1997 წელს 339 კუბმეტრი შე დგინა. გამოვლენილი იქნა და აქტები შედგენილია 150 კუბმეტრზე. სასამართლოს მიერ განხილულ იქნა 8 საქმე, მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ უნებართვო მჭრელებზე სასამართლოს მიერ გატარებული სასჯელები არასაკმარისია. რაც ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს მუშაობაზე. სამართალდამცავი ორგანოები უფრო აქტიურად უნდა დაგვიდგნ გვერდით, რომ ხე-ტყის უნებართვო ჭრა აღკვეთოთ.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ინტერესები

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო გარდაქმნები იმ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაწმენდად, რაც ახლო წარსულის მავნე პრაქტიკით შეიქმნა და დამკვიდრდა საქართველოს სინამდვილეში.

ქართველი ერი მსოფლიო ხალხთა შორის იყო ცნობილი უმაღლესი კულტურით, სტუმართმოყვარეობით მებრძოლურობით...

მედ უფრო მეტად უფროსი თაობა, რომელიც ცუდი აღმზრდელობითი მაგალითის მიმცემი გავხდით. მივაღწიეთ ახალგაზრდების მგლისებურ აზროვნების ხერხებს.

ინდოეთის ჯუნგლებში შეიპყრეს ორ მგელთან ერთად წყაროსთან მყოფი ბავშვი. იგი იკბინებოდა, მხეცივით ღმუოდა. გაველურებულ ბავშვს თავზე

«სირცხვილი იმ გუთნის დედას, თავის მამის საფლავს ხნავდეს»

ვლაპარაკობთ, იყო ცნობილი ქართველი ხალხი, მაგრამ შევხედოთ დღევანდელობას, როგორი ვართ დღეს, ვიხედებით თუ არა უკან, რანი ვიყავით და რანი ვართ, ან თუ ვიგონებთ მ. გორკის ბრძნულ სიტყვებს:

„წარსულისკენ უკან მოხედვა საჭიროა,
ისტორია — ცუდი მასწავლ ებელი არაა“.

ვიცით დღეს საქართველოს ყველა კუთხეს, ყოველ ოჯახს უჭირს, მაგრამ სწორედ ამ დროსაა საჭირო გამაგრება — ურთიერთთანადგომა, სამშობლოს დაცვა, წინაპართა საფლავების პატრონობა და არა გაქცევა და მიტოვება ყველაფრის.

გავიხსენოთ აკაკი წერეთელი, როცა ამბობდა:

„ვისაც არ უყვარს
მშობელი დედა,
ის მის მაგიერ ვის
შეიყვარებს?
ვისაც სძულს თვისი
სახლი და კარი,
ვინლას გაუღებს
სამოყვროდ კარებს?“

ასევე გავიხსენოთ იეთიმგურჯი:

„იმას შვილად ვერ
მივიღებ,
წინაპრების აკვანს
სწვავდეს,
სირცხვილი იმ გუთნის
დედას,
თავის მამის საფლავს
ხნავდეს“.

მოდით დავფიქრდეთ და ვთქვათ სიმართლე, ვართ თუ არა იმ დონემდე მისული და თუ მივედით იმ დონემდე, ხომ არ იქნება აუცილებელი რომ ვიბრუნოთ პირი სიკეთისაკენ, გავერთიანდეთ, ვიზრუნოთ ყველამ ერთისთვის და ერთმა ყველასთვის, რომ შევქმნათ დამოუკიდებელი თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო.

როცა ვლაპარაკობ, რომ მოვიხედოთ წარსულისაკენ და შევხედოთ მართლაც სულ ახლო წარსულს, ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდების აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა, რაც 70 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ეს პროცესი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დარჩა.

დღეს კი მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ ასე მესახება, მარტო სკოლა როდი მყავს მხედველობაში, არამედ უფრო მეტად უფროსი თაობა...

ჭრილობა ჰქონდა. ამ ჭრილობით ის იცნეს მისმა ახლობლებმა, რომლებიც გამოდგნენ იქვე მახლობელი სოფელ აგრას მცხოვრებნი.

შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბავშვი 8 წლისა იყო. 6 წლის წინათ, როცა ბავშვი 2 წლისა იყო, მგელმა მოიტაცა და დაუწყო მას თავისებური აღზრდა, ბავშვმაც სწრაფად აითვისა და ისე იქცეოდა, როგორც მგლები.

მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ დღეს ჩვენ ყველანი, როგორც ძველი აღზრდილები, ასევე ახალი აღსაზრდელები, ისევე ვკბენთ ერთმანეთს, როგორც მგლები, მხოლოდ ერთის განსხვავებით მგლები ერთმანეთს არ კბენენ, ჩვენ კი გვინდა ერთმანეთი შევჭამოთ.

დღევანდელობა მაგონებს ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების წყობას. ძველი ბურჟუაზიული საზოგადოება დამყარებული იყო შემდეგ პრინციპებზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა.

და გასაგებია ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანი, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებს ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას რომ უნდა იყოს ან მონათმფლობელი ან მონა, ან წვრილი მესაკუთრე. წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი. ე. ი. ადამიანი მარტო იმაზე ზრუნავს, რომ თავისი ჰქონდეს და სხვისი ჯავრი არა აქვს.

ასეთი ადამიანები თვლიან, რომ დაეუფლონ კარგ მანერებს, რაც მათ საშუალებას მისცემთ დამალონ უხეშობა და უპატიოსნობა გარშემომყოფებისადმი.

ასეთი ადამიანები არიან თავაზიანები მათდამი, ვისზედაც დამოკიდებულნი არიან და ვისგანაც რაიმე სარგებლობას მოელიან. ამოჩნდებიან თუ არა იმ ადამიანთა შორის, რომლებზეც დამოკიდებული არ არიან, ასეთი ქამელეონები იხსნიან „ზრდილობიანობის“ ნიღაბს და ამჟღავნებენ ნამდვილ არსს. სამწუხაროდ, ასეთები დღეს ძალზე ბევრი გვყავს.

ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის. დიდი ილია მოუწოდებდა ხალხს:

„თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა
ყველასა“.

ასევე წერდა დანტე:

„ბედნიერი ხარ, თავისუფლად აზრს რომ გამოთქვამ“.

ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობას, თავისუფლებას მიაღწია დიდი ბრძოლის შედეგად ამ საუკუნის 20-იან წლებში, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ასეთი ბედნიერება მოკლე გამოდგა.

ისმება კითხვა: ვინ დაანგრია ის? პასუხი, ვგონებ, სხვაგან არაა საძებნი. ისევ ქართველებმა, ქამელეონებმა, მოღალატეებმა.

ამის შემდეგ გავიდა კარგა დიდი დრო 70 წელი და კიდევ დადგა სანატრელი მომენტი თავისუფლებისათვის, რასაც თითქმის მივაღწიეთ, თუმცა არასრულყოფილად. მაგრამ მაინც...

და რა ხდება დღეს? მივაღწიეთ რა დროებით დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, თავისუფლად შეგვიძლია გამოვთქვათ ჩვენი აზრი, დავიწყეთ ერთმანეთისადმი მგლისებური კბენა, რომ არა გვაქვს კანონები, ყველას გვინდა გავხდეთ ხელმძღვანელი, ყველა ვლაპარაკობთ ხალხის სახელით, რითაც ვიწყებთ ნგრევას ჯერ კიდევ არასრულყოფილად მიღწეული თავისუფლებისას, დამოუკიდებლობისას და გვავიწყდება როცა ვლაპარაკობთ არსებულ კანონებზე ვინ შექმნა ეს კანონები? ისევ ჩვენ. ვინ უნდა ემორჩილებოდეს მას? ისევ ჩვენ. ვასრულებთ თუ არა მას? არ ვასრულებთ. ვინაა დამნაშავე? ისევ ჩვენ.

და როცა ვლაპარაკობთ კანონის მოქმედებაზე, ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ კანონს გარდა არის კიდევ მორალური პასუხისმგებლობა, რომელსაც ვერავითარ კანონს ვერ დაუმორჩილებ.

და თუ გვინდა შევინარჩუნოთ მეორედ მიღწეული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ყველა ჩვენგანი უნდა ვემსახურებოდეთ სხვა კანონებთან ერთად კულტურის დონის კანონს და თუ კიდევ დავკარგეთ მიღწეული, მას ჩვენ ვეღარასოდეს ვერ დავიბრუნებთ. და სწორი იქნება გამოთქმა „რაც მოგივა დაგითაო, ყველა შენი თავითაო“.

გივიკო გენდელიანი,
აფხაზეთიდან ლტოლვილი.
ქ. ცაგერი.

სკოლას სპონსორი გამოუჩნდა

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა სასკოლო რეფორმის განხორციელების აუცილებლობა. ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი „განათლების შესახებ“, რაც დიდი სახელმწიფოებრივი დოკუმენტია, რომელშიც ასახულია ქართული ეროვნული სკოლის სამომავლო ამოცანები. კანონით გათვალისწინებულია სწავლების მესამე საფეხურზე მეათე-მეთერთმეტე კლასებში ფასიანი სწავლება. ჩვენი რაიონის პირობებში სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო კლასებში, სადაც 10 მოსწავლეა, თითოეულმა მოსწავლემ თვეში უნდა გადაიხადოს არანაკლებ 9 ლარი, საჭირო თანხის 30 პროცენტს კი აფინანსებს სახელმწიფო.

დღევანდელ შეჭირვებულ პირობებში ძალზე ძნელია გამონახო ოჯახი, რომელიც წელიწადში გადაიხდის სწავლის საფასურს 90-100 ლარის ოდენობით. არადა, მოსწავლის მოწყვეტა სწავლის პროცესიდან თანხის გადაუხდელობის გამო დიდი ეროვნული ტრაგედიაა. ეს პრობლემა მეტნაკლებად იხება ჩვენი რაიონის თითქმის ყველა სკოლას. გასულ სასწავლო წელს მეათე-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა უმეტესობამ უსახსრობის გამო ვერ გადაიხადა სწავლების საფასური, არადა სახელმწიფო დაკვეთა ფასიანი სწავლების შესახებ უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მეათე-მეთერთმეტე კლასებში შემსვლელი მასწავლებლები ვერ მიიღებენ ხელფასს. და საბოლოო ჯამში ანაზღაურების გარეშე დარჩენილი მასწავლებელი სათანადო დონეზე ვერ წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს.

აღნიშნულ პრობლემას ხელი რომ არ შეეშალა სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის წარმართვისათვის, ლაცორიის საშუალო სკოლის დირექციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა საქმიანი კონტაქტი დაამყარეს სპონსორთან, აწ გარდაცვლილი ლეჩხუმის მკვიდრის, სპათაგორში დაბადებული, არმიის გენერალ ვლადიმერ (ვოვა) თედორეს ძე ლეშკაშელის მეუღლესთან ქალბატონ ლამარა მიხეილის ასულ ჰელიძესთან, რომელიც წარმოშობით რაჭველია, სოფელ ხვანჭკარიდან ამჟამად ცხოვრობს თბილისში. იგი პროფესიით პედაგოგია, დამთავრებული აქვს მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტი. ჰყავს ორი ვაჟი ზაური და მიხეილი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტი, ორივენი ამჟამად [illegible] მოღვაწეობენ დიპლომატიურ სამუშაოზე, უფროსი ვაჟი ზაური დიდ ბრიტანეთშია ოჯახით, ხოლო მიხეილი ესპანეთში.

ქალბატონი ლამარა და მისი ვაჟი მიხეილი გასული წლის ზაფხულში იყვნენ სოფელ სპათაგორს, მოინახულეს ნათესავები, დაათვალიერეს მარშალ ა. გელოვანის სახლ-მუზეუმი, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ცენტრი, სადაც გამოფენაში მოთავსებულია არმიის გენერლის ვლადიმერ ლეშკაშელის ფოტოსურათი.

სტუმრები შეხვდნენ ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, გაეცნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს, მდგომარეობას.

ქალბატონმა ლამარამ იკისრა ვალდებულება მეათე-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეებს სისტემატურად გადაუხადოს სწავლის საფასური. მან ეს დაპირება საქმედ აქცია და ორივე კლასის მოსწავლეების მთელი წლის გადასახადი გადმოგვირიცხა, ამასთან გვპირდება, რომ მსგავს სპონსორობას მომავალშიც გაგვიწევს: სკოლის შენობას გაუკეთებს კაპიტალურ რემონტს, დაეხმარება ლტოლვილ, უდედმამო და ხელმოკლე ბავშვებს, სკოლის პედაგოგებს, დაეხმარება აგრეთვე სკოლას საჭირო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით სკოლის აღჭურვაში.

სკოლის დირექციამ, პედკოლექტივმა, ლაცორიის, სპათაგორის, ლეშკიდის, ხოჯის, უსახელოს მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს ლაცორიის საშუალო სკოლისთვის მიენიჭებინათ არმიის გენერლის ვლადიმერ ლეშკაშელის სახელი. რაიონის გამგეობამ, გამგებელმა ბატონმა კარლო კვერიკაშვილმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით რაიონის გამგეობის 1997 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლაცორიის სკოლას მიენიჭა არმიის გენერლის ვლადიმერ ლეშკაშელის სახელი.

ჩვენი რაიონის პირობებში მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო დღის წესრიგში დგას სასწავლო დაწესებულებების შემცირების საკითხი, რაც დიდად პრობლემურია ისეთი მთიანი სოფლებისთვის, როგორიც ჩვენია.

სკოლის პედკოლექტივისა და მოსწავლეთა სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლამარა ლეშკაშელს იმ დიდი ზრუნვისათვის, რაც მან გამოიჩინა ჩვენი სკოლისადმი. სწორედ ასეთი პატრიოტი ადამიანები სჭირდება დღეს საქართველოს, მის მომავალ თაობას.

ზაურ გოლეთიანი,
ლაცორიის საშუალო სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება შენი ქარიშხალს ჰგავდა

მეგობრების სახელით ვუძღვნი უდროოდ დაღუპულ ბატონ ბორის ხეცურიანის ხსოვნას

მურის ხიდთან წყალი მოქუხს
მაღალ კლდეებს შორის
და სიკვდილის მოციქული
ჰკივის ბორის! ბორის!
სამშაბათი დღე გათენდა, ღამე გქონდა მძიმე,
სულ შფოთავდი, სულ ოხრავდი—გვიან დაიძინე—
ალბათ წინათგრძნობა გქონდა, დღე იქნება ბოლო
თქვი: განგებას ვინ აღუდგა, რა ვქნა, რა ვიღონო?
წამოგეპარა სიკვდილი, როგორც ძუ მგელი ღამისა,
დაგხანჯლა, გული გაგიპო და წაგიყვანა თავისთან.
შენ ხომ საწოლში არ მოკვდი, როგორც სნეული ბებია.
მსგავსი სიკვდილი ვაჟკაცთა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.
ცხოვრობდა ჩვენში კარგი ყრმა, კაცი ღვთისაგან სვიანი,
მაღალი მხარბეჭ-გაშლილი, ნათელ—შუბლ-ღიმილიანი
მეოჯახე და მეუღლე, რჩეულთა შორის-რჩეული,
მასპინძლობაში უბადლო ყველასგან გამორჩეული.
მეგობრობაში გამტანი, მეზობლისათვის იმედი,
ჩვენი სამშობლოს ბედისთვის, როგორც ბექთარი, იდექი!
ხშირად ამბობდი: სიცოცხლე, დიდი არ გქონდა იცოდი,
ცხოვრებისეულ კოცონზე, როგორც ჯორდანო, იწვოდი.
შენი ლამაზი სიმღერა, შენი ფუნჯი და კალამი,
ჩვენი ლამაზი ლეჩხუმის თვალ-მარგალიტი რამ არის
კინოს, თეატრის და სცენის სწორუპოვარო რაინდო.
შენმა „ონისემ“, „ჯოყოლამ“ უკვდავთ ადგილი დაიდო.
არც ერთი ღონისძიება უშენოდ არ იწყებოდა,
შენი ნალვაწით, ყოველთვის ნათელი კვალი რჩებოდა.
ყველგან პირველი იყავი—ყველას უდიქე თარადა,
შრომა. თეატრი, ქეიფი ეს იყო შენი მარაბდა.
ყველაფერში ნაღდი იყავ, მეგობრებიც ნაღდი გყავდა.
თქვენთან ყოფნა. დროს ტარება მართლაც ლამაზ ზეიმს ჰგავდა
ვით, საყდარში ანჩის ხატი—ანდა როგორც ჯოკონდა
გარს გეხვია ლამაზ ქალთა, კაცურ კაცთა კოჰორტა.
ცხოვრება შენი-ქარიშხალს ჰგავდა, მეხის გავარდნას გავდა სიკვდილი,
გყავდა მოყვრები და ალბათ მტერიც, არ გიჭამია არსად სირცხვილი,
შენი სიცოცხლე სიმღერას გავდა, ვით გაზაფხულზე კვირტების ფეთქვა,
შენ მოასწარი, უფრო მეტი თქვი, ვით ჩვეულებრივ კაცს უნდა ეთქვა.
გვესოს ციხიდან ორბი აფრინდა და ხვამლის ქედი გადაიარა
სამეზობლოს და ნაცნობ-მეგობრებს შენ დაუტოვე მძიმე იარა
გჯეროდეს, საძმოს მუდამ გვექნება, შენს მოსაგონრად ღვინო ჰიქაში
ნეშტი, ძირს დარჩა შენი სული კი, ზეცას წავიდა გალაქტიკაში.
როცა ქუჩაში, გამოჩნდებოდი, ვით ჰერკულესი, როგორც არაკი
მოედებოდა ჩურჩული ქუჩებს ულამაზესი, კაცი. ქალაქის,
და როს დამთავრდა შენი ცხოვრება, შენი სიცოცხლე მარადწრიული
კარი გაგიღო შენმა თეატრმა, ჩაშავებული ვესტიბიულით.
მწუხარება და იყო გოდება, იყო სიტყვა და ლექსი ფრთიანი
ყველა სტუმარი, ქალი თუ კაცი გითხოვებოდა თვალცრემლიანი,
სვანური ზარი, მეგრული ნანა, სურვილი, ნატვრა შენი ნებისა
მიგაცილებდა უკვდავებისკენ ეს ლოცვა იყო თვით განგებისა.
შენი ცხოვრება სამაგალითო, როგორც კომპასი, როგორც ლამპარი
გზას გაუნათებს შენს ლამაზ ოჯახს, ვით მზის სხივებით გული გამთბარი.
მშობლის სიცოცხლე შვილში გრძელდება, გამოვლინება უფლის ნებისა,
მერაბ, რატი, სალომე, თამარ. ხვალინდელი დღე უკვდავებისა.
ბატონო ბორის! გვიყვარდი ადრე, ძმაო ბორია! გვიყვარხარ ახლა,
და რაც მეტს ვფიქრობ, უფრო იზრდები უფრო და უფრო ადიხარ მაღლა.
როგორც შევძელი ისე დავწერე, შენი ოჯახის დადგებით გვერდით,
ლეჩხუმს უყვარდი, სულ ეყვარები, მოწმე არის უფალი ღმერთი.

რეზო მურცხვალაძე,

რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

10 თებერვალი 1998 წ. ქ. ცაგერი.

ტყე: მოარული ხმები და სინამდვილე

(დასასრული)

სატყეო მეურნეობას წინა წელს 1100 კუბმეტრი ხე-ტყე უნდა დაემზადებინა სარეალიზაციოდ, ფაქტიურად დამზადებული და რეალიზებულ იქნა 676 კუბმეტრი სამასალე მორი, რომელიც რეალიზებულია როგორც რაიონში, ისე რაიონს გარეთ, რაიონის ბიუჯეტში სულ წლის მანძილზე გადარიცხულია 24824 ლარი.

მიმდინარე წლისათვის ტყეკაფები გამოყოფილია 302 ჰექტარი. მინდა დავამშვიდო ჩვენი მოსახლეობა, რომ თვითნებური ჭრების აღკვეთისათვის ყველაფერი კეთდება, საშიშ და საგანგაშო ჭრებს ჩვენს რაიონში ადგილი არც ჰქონია და არც ექნება, პირიქით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გეგმურზე ნაკლები ხე-ტყე დავამზადეთ. ისე გვინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ ხე-ტყის ჭრა და რეალიზება, ეს რაიონში იქნება თუ რაიონს გარეთ, ჩვენს დონეზე არ წყდება.

*

გილოცავთ!

ნინო უგრეხელიძეს,

პაატა მდივანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს ოჯახში.

დარეჯან გელოვანი.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან
ბორის მიხეილის ძე ბენიძის
გარდაცვალებას.

ამალია სალინაძე, ბორის მამარდაშვილი თანაუგრძნობენ ოჯახს
ბორის ხეცურიანის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე გრიშა, შვილები ეთერი, მერაბი, შვილიშვილები მელანო, გიგა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ოსანა იოსების ასული ბენიძე-ომანაძე.
დაკრძალვა 22 თებერვალს, კვირას, სოფ. ზუბში.

ზუბის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ბაბუცა მუშკუდიანი თანაუგრძნობენ ციური მასწავლებელს და მიშა ბენიძეს მეუღლისა და მამის
ბორიას
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ოჯახს
ზინა ფოფხაძე-ცვარიანის
გარდაცვალების გამო.

დედა ნორა, მეუღლე ნანული, შვილები ნინო, ნანა, ზვიადი, ზაზა, თორნიკე, ძმა ზურაბი, ძმისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან
გრიშა ალექსანდრეს ძე ჭოხონელიძის
გარდაცვალებას.
სოფ. ლასურიაში.

რონ ლიპარტელიანი, გენადი სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ირა, ჯემალ ლიპარტელიანებს დედისა და სიდედრის
ლილი ხვადაგიანის
გარდაცვალების გამო.

ზეიმს სევდაც ახლდა

ღვირიშის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კარნავალი გამართეს. ეს იყო პირველი ზეიმი, რომელშიც არ მონაწილეობდა მათივე თანატოლი, ამგვარი დღესასწაულების მოთავე და ორგანიზატორი, ორი წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული გივიკო ტრისტანის ძე გუგავა. ამიტომ ზეიმს სევდა და ცრემლიც ახლდა.

მოსწავლეები პირველად მეგობრის საფლავს ეწვიენ, საახალწლო საჩუქარი მიუტანეს ტოლს და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს საფლავი.

ამის შემდეგ ღვირიშის სასოფლო კლუბში მოიყარეს თავი, სადაც საზეიმო განწყობილება სუფევდა, ყველა კლასს თავისი მაგიდა ჰქონდა. ერთ-ერთ მაგიდაზე მეათეკლასელებს თანაკლასელის გივიკო გუგავას სურათი ჩაუსვამთ ლამაზ ყვავილებში.

ზეიმი ოსტატურად, ლამაზად მიჰყავდათ ნათია ვაჩაძეს და ალეკო რატიას, რომლებმაც საკუთარი შემოქმედებაც აჩვენეს ზეიმის მონაწილეებს, იყო სადღეგრძელოების კონკურსი, რასაც ლექსები, სიმღერები და ცეკვები ენაცვლებოდა.

დასასრულ X-XI კლასებს შორის გაიმართა ვიქტორინა, იყო საინტერესო კითხვები, ჟიურმა გამარჯვებულებიც გამოავლინა.

ძნელია იმ სითბოსა და სიხარულის გადმოცემა, რაც ჩვენ, მშობლებმა განვიცადეთ. მადლობა ამ სიამოვნებისთვის ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებს.

ნათელა ხეცურიანი,

მშობელი.

დედა სონა, მეუღლე ციური, შვილები მიშიკო, მაგდა, ძმები ვალერი, ზურაბი, რძალი გული, ძმისშვილები დათო, ლალი, სიდედრი ლენა, სიმამრი ანზორ კვირიკაშვილები, მამიდები, ბიძები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან
ბორის (ბორია) მიხეილის ძე ბენიძის
გარდაცვალებას.
სოფ. ზუბი.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი
რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 22-81.

ბეჭდავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პოლიგრაფისტი“ 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56